საქართველოს მთავრობის განკარგულება

№974 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გასატარებელი ღონისძიების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, აანაზღაუროს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მივლინებული:

ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დამატებითი სამივლინებო თანხები - 21 600 (ოცდაერთი ათას ექვსასი) ევროს ოდენობით;

ბ) საქართველოს მთავარი პროკურატურის თავდაცვის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორის გია გოგინავას (პ/ნ: 010010002576) სრული სამივლინებო თანხა - 6 183 (ექვსი ათას ას ოთხმოცდასამი) ევროს ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი